EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეოთხე სექცია

განჩინება

საჩივარი N 60864/10
დავით ჩანტლაძე
საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექცია), კომიტეტის 2015 წლის 30 ივნისის სხდომაზე, შემდეგი შემადგენლობით:

პოლ მაჰონი, *თავმჯდომარე,*
ნონა წოწორია,
ფარის ვეჰაბოვიჩი, *მოსამართლეები,*
და ფატოშ არაჩი, *სექციის განმწესრიგებელი მოადგილე,*

მხედველობაში მიიღო 2010 წლის 3 სექტემბერს შემოტანილი წინამდებარე საჩივარი,

მხედველობაში მიიღო მოპასუხე – მთავრობის მიერ 2015 წლის 9 მარტს წარმოდგენილი ოფიციალური დეკლარაცია, რომელშიც ითხოვდა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან საჩივრის ამორიცხვას, ასევე მომჩივნის პასუხი დეკლარაციაზე,

განხილვის შემდეგ, გამოიტანა შემდეგი განჩინება:

ფაქტები და პროცედურა

1. მომჩივანი ბ–ნი დავით ჩანტლაძე არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც დაიბადა 1965 წელს და ცხოვრობს თბილისში. მას სასამართლოში წარმოადგენდა ბ–ნი მ.სტურუა, ადვოკატი რომელიც საქმიანობას ახორციელებს თბილისში.

2. საქართველოს მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) წარმოადგენდა მათი წარმომადგენელი, ბ-ნი ლ. მესხორაძე საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან.

3. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ფაქტები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

4. 2009 წლის აპრილის დასაწყისიდან ივნისამდე პერიოდში ოპოზიციის ათასობით მხარდამჭერი ქუჩის ყოველდღიურ საპროტესტო აქციებს მართავდა თბილისის სხვადასხვა რაიონში, ასევე სხვა დიდ ქალაქებში პრეზიდენტ სააკაშვილის და მისი მთავრობის გადადგომის მოთხოვნით. ამ პერიოდში იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა სავარაუდოდ პოლიციამ გადამეტებული ძალა გამოიყენა დემონსტრანტების წინააღმდეგ.

5. ერთ-ერთი ასეთი ინციდენტი 2009 წლის 6 მაისს საღამოს მოხდა, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინ სპონტანურ საპროტესტო აქციაზე, სადაც ასობით ადამიანი იმყოფებოდა, მათ შორის მომჩივანიც. სიტუაცია დაიძაბა, როდესაც ერთ-ერთი მონაწილე პოლიციის შენობის ღობეზე გადაძვრა და პასუხად სამართალდამცავებმა, რომლებიც მობილიზებული იყვნენ ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს ტერიტორიის დასაცავად, არალეტალური, ბუნტის ჩასახშობი იარაღის გამოყენება დაიწყეს აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ. შედეგად, მრავალმა მომიტინგემ მათ შორის მომჩივანმა სხვადასხვა სიმძიმის სხეულის დაზიანებები მიიღო.

6. როგორც საქმეში წარმოდგენილი სამედიცინო ცნობით დასტურდება, მომჩივანი იმავე დღეს – 2009 წლის 6 მაისს ჰოსპიტალიზებული იყო მარჯვენა თვალიდან სისხლდენის გამო. მიუხედავად გადაუდებელი სამედიცინო ჩარევისა, მომჩივანმა თვალი დაკარგა. სამედიცინო ცნობაში ნათქვამია, რომ დაზიანება გამოწვეული იყო "თვალის ბუდეში პლასტიკური ტყვიის მოხვედრით“.

7. 2009 წლის 12 ივნისს მომჩივანმა მოითხოვა სისხლის სამართლის საქმის აღძვრა პოლიციის მიერ 2009 წლის 6 მაისის საპროტესტო აქციის დაშლის დროს გადამეტებული ძალის გამოყენებაზე.

8. 2009 წლის ივლისიდან 2010 წლის მარტამდე პერიოდში მომჩივანი რამდენჯერმე დაინტერესდა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების მიმდინარეობით, სხვა საკითხებთან ერთად იგი ითხოვდა ჩვენების მიცემას 2009 წლის 9 მაისის ინციდენტთან ასევე დაზარალებულის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით და ა.შ.

9. 2010 წლის 11 მარტს და 6 აპრილს ქალაქ თბილისის პროკურატურამ დაადასტურა მომჩივნის მოთხოვნების მიღების

ფაქტი და 6 აპრილს ურჩია მას, მიემართა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, რომელიც როგორც აღმოჩნდა გამოძიებაზე პასუხისმგებელი იყო.

10. 2010 წლის 12 აპრილს მომჩივანმა საჩივარი წარადგინა იუსტიციის სამინისტროში, რომელიც იმ დროს პროკურატურის ზედამხედველ ორგანოს წარმოადგენდა და შინაგან საქმეთა სამინისტროში, იმის თაობაზე, რომ ამ უკანასკნელის მიერ გამოძიების ჩატარება არაკანონიერი იქნებოდა მისი საკუთარი თანამშრომლების – სამართალდამცავების მიერ ძალაუფლების სავარაუდო ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით. რასაც რეაგირება არ მოჰყოლია,

სამართალი

11. 2014 წლის 27 ოქტომბერს სასამართლომ შეატყობინა მთავრობას კონვენციის მე–3 და მე-11 მუხლებთან დაკავშირებული საჩივრის შესახებ.

12. 2015 წლის 9 მარტით დათარიღებული წერილით მთავრობამ შეატყობინა სასამართლოს, რომ სურდათ ცალმხრივი დეკლარაციის გაკეთება იმ საკითხების გადაწყვეტის მიზნით, რომლებიც საჩივარში იყო დასმული.

13. მთავრობამ აღიარა 2009 წლის 6 მაისს მომჩივნისთვის მიყენებული დაზიანებების შედეგად დაწყებული საქმის გამოძიების მსვლელობისას აღმოჩენილი ხარვეზების საფუძველზე იმ უფლებების დარღვევის ფაქტი, რომლებსაც იცავს კონვენციის მე–3 და მე–11 მუხლები.

14. „აღნიშნული დარღვევების აღმოსაფხვრელად საქართველოს მთავრობამ 2009 წლის 6 მაისის ინციდენტის გამოძიება დაავალა "დამოუკიდებელ საგამოძიებო ორგანოს (შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის გარეთ)" და ვალდებულება აიღო უზრუნველეყო "მომჩივნის ბრალდებების ეფექტური გამოძიება კომპეტენტური მაღალი რანგის პროკურორის ინტენსიური ზედამხედველობით და სასამართლოს მიერ დადგენილი პრინციპების სრული დაცვით“.

15. აგრეთვე, საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, მთავრობა მზად არის მომჩივანს გადაუხადოს 6,000 (ექვსი ათასი) ევრო ნებისმიერი მორალური ან

მატერიალური ზიანის და ყველა ხარჯისა და დანახარჯის ანაზღაურების სახით, რომელიც კონვერტირებულ უნდა იქნას მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული კურსის შესაბამისად და განთავისუფლებული იქნება ნებისმიერი გადასახადისგან. გადახდა უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების მთავრობისთვის შეტყობინებიდან 3 თვის ვადაში. იმ შემთხვევაში თუ გადახდა არ განხორციელდა ზემოხსენებულ 3 თვის ვადაში, გადასახდელ თანხას დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება 3 პროცენტი. „

16. მთავრობამ სასამართლოს სთხოვა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან საჩივრის ამორიცხვა ზემოთ ხსენებული აღიარებებისა და ვალდებულებების საფუძველზე.

17. 2015 წლის 8 აპრილით დათარიღებული წერილით მომჩივანმა სასამართლოს აცნობა, რომ მთლიანად ეთანხმებოდა დეკლარაციის პირობებს.

18. სასამართლოს მიაჩნია, რომ მომჩივნის მიერ მთავრობის დეკლარაციის პირობების მიღება მხარეთა შორის მიღწეულ მორიგებად უნდა ჩაითვალოს. აქედან გამომდინარე სასამართლო მხედველობაში იღებს მხარეთა შორის მიღწეულ მორიგებას. სასამართლო კმაყოფილებას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ მორიგება დაფუძნებულია ადამიანის უფლებების პატივისცემაზე, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციასა და მის დამატებით ოქმებში და ვერ ხედავს რაიმე მიზეზს, რომელიც გაამართლებდა საქმის განხილვის გაგრძელებას.

19. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია საქმის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვა.

ამის გათვალისწინებით, სასამართლომ ერთხმად *მიიღო გადაწყვეტილება,* კონვენციის 39-ე მუხლის შესაბამისად ამორიცხოს საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან.

შედგენილია ინგლისურ ენაზე და ეცნობათ წერილობით 2015 წლის 23 ივლისს.

ფატოშ არაჩი
სექციის განმწესრიგებელი
მოადგილე

პოლ მაჰონი,
თავმჯდომარე